ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1190993

ნომერი: AR1207241

თარიღი : 26.03.2014

გაცემის თარიღი : 02.04.2014

გაცნობის თარიღი : 02.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სანაპიროს ქ. N7. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარი დურგლიშვილი პ/ნ 01027039346
- თბილისი რ.ხომლელის ქ. კორ. 3 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1207241 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სანაპიროს ქ. #7–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.15.04.030.009) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის და მანქანის სამრეცხაო ორი ბოქსით განსათავსებლად, მიწის ნაკვეტის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. გაცნობებთ, რომ, აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხი უკვე განხილულ იქნა სამსახურის მიერ და #1157172 ბრძანებით დაფიქსირდა უარყოფითი გადაწყვეტილება. განმეორებით გაცნობებთ რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქ. თბილისისტერიტორიის გამოყენებისადა განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისშესახებ" ქალაქ თბილისისსაკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). ამ წესების შესაბამისად თქვენს მიერ შერჩეული ფუნქციის სახეობის მშენებლობა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში ნებადართული არ არის. რადგან დღევანდელი მდომარეობით გარემოებები უცვლელია, სმსახურის პოზიცია აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების თაობაზე რჩება უცვლელი.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე დღევანდელი მდგომარეობით უკვე არსებული შენობის იერ–სახის მოწესრიგების მიზნით, მხოლოდ არსებული გაბარიტების შენარჩუნების პირობით შეგიძლიათ ატვირთოთ განაცხადი მშენებლობის ნებართვის შესაბამის ნომენკლატურაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.